პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 124 (18666) სამშაბათი, 31 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

შეჯიბრება მილიონთა სკოლაა

დიდია სოციალისტური შეჯიბრების როლი ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში, ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს მას ადამიანთა აღზრდისთვისაც, საბჭოთა დემოკრატიის გაფართოებისა და გაღრმავებისთვისაც. მილიონთა შრომითს მეტოქეობაში იქმედება მაღალი შეგნება და ორგანიზებულობა, მკაფიოდ ვლინდება სახმოთა ადამიანის შესანიშნავი თვისებები: ბატონ-პატრონის გრძნობა, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, მისწრაფება — ღირსეული წვლილი შეტანოს საერთო მუშაობაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია სოციალისტური ვალდებულებანი და მოწინავე კოლექტივების შემხვედრი გეგმები.

როცა ლენინგრადის გაერთიანება „ნევის ქარხანაში“ 1983 წლის ვალდებულებებს ადგენდნენ, ამაში ყველა მუშა და სპეციალისტი მონაწილეობდა. საამქროებში გაიმართა კრებები, რეზერვების დადგენიერებანი, ჩაერთვნენ ბრიგადებისა და ნოვატორების საბჭოები, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები. გამოვლინდა ზრდის ბევრი ახალი შესაძლებლობა. ეს არის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლება, საუშაო დროის დანაკარგების შემცირება, ლითონის, ელექტროენერგიის სათბობის ეკონომია. ამის შედეგად მანქანათმშენებლები შეძლებენ გაასაღონ 4 მილიონი მანეთის პროდუქცია წლიური გეგმის დამატებით, მიიღონ 8 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება. მათი სიტყვა და საქმე ერთია: „ნევის ქარხანა“ იმათ შორის არის, ვისაც დღეს მზარს უსწორებენ სხვები.

მუდამ კარგი შედეგები მოაქვს კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანებისა და შეჯიბრების მონაწილეთა შემოქმედებითი ენერგიისა და აქტიურობის განვითარების ლენინისეულთა მჭიდრო, ორგანულ კავშირს, მათი თაოსნობებისათვის საქმიან მხარდაჭერას. ამაში თვით ცხოვრება გვარწმუნებს. მაგრამ მაინც არის ფაქტები, როცა, სახავენ რა ახალ ამოცანებს, იმედს ამყარებენ მხოლოდ ადმინისტრაციის ზეგავლენაზე და ჯეროვნად არ აფასებენ შრომითი მეტოქეობის ძალას, განსაკუთრებით მის აღმზრდელობითს შესაძლებლობებს. ზოგჯერ ასე მსჯელობენ: ნოვატორობის, წარმოების მართვის გზა ჩაკეტილი არავის არა აქვს, ასე რომ, შექმენი, ინიციატივა გამოიჩინეო.

დიახ, ამის პირობები თითოეულ კოლექტივშია. და მაინც თვითდინებით გულის დაარხეინება არ შეიძლება. მეურნის უფლების მიღება, როგორც ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი აღნიშნავს, და მეურნედ — ნამდვილ, ბრძენ, ყაირათიან მეურნედ გახდომა ერთი და იგივე როდია. სოციალისტურად აღზრდილი მხოლოდ ის კაცი ჩაითვლება, რომლისთვისაც სულ ერთი არ არის არა მარტო საკუთარი შრომითი წარმატებანი, კეთილდღეობა, ავტორიტეტი, არამედ თანამოსაქმე ამხანაგების, შრომითი კოლექტივის საქმეები, მთელი ქვეყნის ინტერესები.

მაშასადამე, არ კმარა განსაზღვრო მიზანი, დასახო კარგი ღონისძიებანი. მთავარია, ისინი განამტკიცო საქმით, შეჯიბრების ყველა მონაწილენი ერთსულოვანი მუშაობით, როგორც ამას შვრებიან, მაგალითად, ხარკოვის მთელ რიგ საწარმოებში, სადაც გადაწყდა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი შეასრულონ რესურსების

ПРАВДА

30 მაისის მოწინავე

მოხმარების გაუზრდელად. მაგრამ სწორედ ასეთი მუშაობა, ვალდებულებათა რეალიზაციისადმი ქმედითი კონტროლი ზოგჯერ გვაკლია. ზოგიერთ კოლექტივში ვალდებულებათა შესახებ დიდის ამბით ლაპარაკობენ ხოლმე, როცა იღებენ, შემდეგ კი უცაბ დიდი ხნით კარგავენ ყოველგვარ ინტერესს მათდამი. და ქალაქდზე რჩება კარგი ჩანაფიქრი, საუურადღებო სიახლენი, ადამიანთა წინადადებანი.

„გადავწყვეტეთ გამოგვიყენებინა ზლობინის მეთოდი, გვემუშავა იჯარული მეთოდით, — სწერს „პრავდას“ როსტოვის ოლქის „მელიორწყალმშენის“ ტრესტის ხემიკარაკორსკის მოძძავა-მექანიზებული კოლონის მუშათა ჯგუფი. — ხელმძღვანელებმა თითქოს მხარი დაგვიჭირეს და მალე ანგარიშიც ჩაბარეს ასეთი ბრიგადის შექმნის შესახებ. არადა, გვრცხვენია, როცა „ზლობინელებს“ გვიწოდებენ. იჯარა, უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო ანგარიშია, აქ კი იგი არც კი ახსოვთ. როგორ ვიმუშავეთ ამა თუ იმ პერიოდში, დავზოგეთ თუ გადავხარჯეთ მასალები, — არავინ არ იცის, საჭიროა ყველა დანახარჯის ზეგიანური აღრიცხვა, ამაში არ დაგვეხმარნენ. სამაგიეროდ, ჩვენს ბრიგადირს ი. საპრიკინს დროდადრო საქმეს წყვეტენ, ნაირნაირ თათბირებსა და შეხვედრებზე იწვევენ — იქ თავის გამოცდილებას უზიარებს. რა გამოცდილებას უზიარებს, არ ვიცით...“

ამგვარ ფაქტებს გვატყობინებენ სხვა წერილების ავტორებიც, რომლებიც სამართლიანად აღნიშნავენ, რომ, მატერიალური ზარალის გარდა, ეს საგრძნობ მორალურ ზიანსაც აყენებს საქმეს. პრინციპულ შეფასებას უნდა ვიძლეოდეთ, აღვკვეთავდეთ ფორმალიზმს, მოჩვენებითობას, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს ისინი. არ უნდა დავივიწყოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მომხსენებელმა — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა, სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში შექმნილია მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინისათვის ბრძოლის ზუსტი სისტემა. კეთილი ნიჭიერი რაციონალიზატორი ჰყავს ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივს. ბოლო ერთი წლის მანძილზე მეშახტეებმა 29 წინადადება შემოიტანეს. აქედან ჯერჯერობით 13 წინადადება დაინერგა, 10 წინადადება კი დანერგვის პროცესშია.

პირველი ამოსაღები სამთო ველის ქვანახშირის ფენის დამუშავებას ეხება რაციონალიზატორ ზ. რობაქიძის წინადადება, რომლის პრაქტიკაში დანერგვით შახტის კოლექტივმა 63125 მანეთი დაზოგა. წინადადების ავტორი 1221 მანეთით დააჯილდოვეს.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა მექანიკოსის გ. აბაშიძის რაციონალიზატორული წინადადებით დაჩქარდა სანგრევი ბურღვის სამუშაოები, რითაც გაუმჯობესდა მეშახტის შრომის პირობები. მეშახტის მძიმე ფიზიკური შრომა შეამსუბუქა იმ რაციონალიზატორულმა წინადადებამ, რომლის ავტორია წყაღლიანის უბნის ზეინკალი ლ. ბოჟორიშვილი. ბევრი ტექნიკური სიახლე შემატეს საწარმოს ნიჭიერმა მეშახტე რაციონალიზატორებმა მ. გაბრიაძემ, ო. ტოფაძემ, ა. ვარდოსანიძემ და სხვებმა.

შახტში რაციონალიზატორთა რიცხვი იზრდება.

ხუთწლედი: წელი მესამე

რაციონალიზატორი მეშახტეები

„საქმთაგარმეორეულნედლეულის“

სამმართველოს თბილისის უქსოვი ფართლეულის ფაბრიკის კოლექტივი თავდადებით შრომობს და მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს წარმატებებსაც აღწევს.

როგორც ფაბრიკის დირექტორმა ჯ. ჯავახიშვილმა გვითხრა, აქაური მშრომელები ყოველთვიურ სახელმწიფო გეგმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ, წინ უსწრებენ დროს და ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით დამაჯერებელი შედეგები აქვთ მოპოვებული. ახლა საწარმოს კოლექტივი იბრძვის შვიდი თვის გეგმა ექვს თვეში შეასრულოს. ამ მიზნის მისაღწევად თავდადებით შრომობენ იატაკის საფენების, უქსოვი ფართლეულის და საჩითავი საამქროები.

ფაბრიკაში ფართოდ გამოიხმაურნენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს და ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა საიუბილეო დღეებში შეასრულონ, გამოუშვან 2 მილიონ 340 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო წლის დარჩენილ დღეებში წლიური გეგმის გადამეტებით 700 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდონ მომხმარებელს. („კომუნისტის“ კორ.“).

დროს უსწრებენ

ბოსტნეული — ჩრდილოელებს

ახალი მოსავლის ბოსტნეულის პირველი პartია — სამი ათას ტონაზე მეტი საადრეო კომბოსტო გაგზავნეს გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობიდან საერთო-საკავშირო ფონდში. სულ მეურნეობა მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრების მცხოვრებლებს გაუგზავნის 20 ათას ტონაზე მეტ კომბოსტოს — საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების იმ მოცულობის ნახევარზე მეტს, რომელიც დაგეგმილია მიმდინარე წლისათვის რესპუბლიკაში.

ამ დღეებში გარდაბნელების კვალდაკვალ ალოობას დაიწყებენ მარნეულის რაიონის მშრომელები. ისინი აპირებენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაგზავნონ სულ ცოტა 10 ათასი ტონა საადრეო კომბოსტო.

სულ ჩრდილოეთის ქალაქების მშრომელები საქართველოდან მიიღებენ 37 ათას ტონაზე მეტ საადრეო კომბოსტოს.

დარგი ვითარდება

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში აშენდა ახალი სპეციალიზებული კომპლექსი, რომელიც გათვალისწინებულია 5000 დედა ბოცვრის მოვლისათვის, წელიწადში საწარმო დაამზადებს 300 ტონა დიეტურ ხორცს.

ბოლო წლებში მებოცვრეობა რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით ვითარდება. შექმილია რესპუბლიკური გაერთიანება, რომელშიც შედიან მთელი რიგი რაიონების სპეციალიზებული მეურნეობები. მათ აქვთ საკვები ბაზა, ავტოტრანსპორტი, ტექნიკა, მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის პროგრამით, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება, იგება მებოცვრეობის რეპროდუქტორები ბაჭიებისათვის.

ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკაში დამთავრდება კიდევ სამი სპეციალიზებული საწარმოს მშენებლობა, რომლებიც წელიწადში ათას ტონამდე ხორცს დაამზადებენ. (საქინფორმი).

ბოლო ინფორმაციები

სამი ხალხის შვილი — საიათნოვა

ამიერკავკასიის დიდი აშუღის ხსოვნას მიეძღვნა მიტინგი, რომელიც გორგასლის მოედანზე გაიმართა. აქ თავი მოიყარეს თბილისელებმა, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ციცეშვილმა მიტინგის გახსნისას თქვა:

— დღეს აქ შეიკრიბნენ საიათნოვას, თავისთავადი და უაღრესად სახალხო პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლები. იგი ხალხს ემსახურებოდა თავისი მაღალი ხელოვნებით, მომაჯადოებელი სიმღერით, პოეტური სიტყვით, რომლის ძალაც ხალხში ხან სიხარულსა და ხან ცრემლს იწვევდა.

ამ დღეს ტრიბუნიდან აშუღის ლექსები გაისმა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მადლობას გიხდით ყველა თბილისელს, თქვა სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ს. არუთინიანმა, მეგობრობის ყოველწლიური დღესასწაულისათვის, მეგობრობისა, რომელსაც ჩვენმა დიდმა წინამორბედებმა მისცეს დასაბამი.

გაიმართა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების კონცერტი.

დღესასწაულს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გაბუნია და საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.



რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებლის — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მშაზველობისა, გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრასთან შეიქმნა უახლესი გამომთვლელი მანქანებით აღჭურვილი სამანქანო გრაფიკის ლაბორატორია.

ახალი ლაბორატორიის შექმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მოსკოვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „ალგორითმის“ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის თბილისის ფილიალის შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგია.

ახლა ავტომატიკისა და გამომთვლელი ტექნიკის ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ უფრო სწრაფად აითვისონ მშაზველობითი გეომეტრია, სხვა საგნები, „აღმოფხვრან ხელის შრომა ხაზვისა და დაპროექტების დროს.

სურათებზე: პირველკურსელი კომკავშირელი ნატალია გვახარია ავტომატიზებული კომპლექსის სამანქანო დარბაზში; პირველი კურსის სტუდენტები ხითუნა პაპიჩიშვილი და იური სულაკაძე პრაქტიკულ მეცადინეობაზე ახალ ლაბორატორიაში.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გემოვნებისა და ფანტაზიის კონკურსი

პირველი ხარისხის დიპლომით აღნიშნა ციურიმ ორიგინალური კომპოზიცია „ბაღი ქილაში“. ეს ცეროდენა ბაღი, რომელიც სამლიტრიან ქილაშია გაშენებული, თხუთმეტი ჯიშის მცენარისაგან შექმნა მხატვარმა დეკორატორმა ი. ხმალაძემ.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ყვავილების დღესასწაულის პოლო დღეს შეჯამეს კონკურსის შედეგები. წარმომადგენლობითმა ციურიმ სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვა გამარჯვებულნი. ქალაქის სხვადასხვა რაიონში გაშენებული ცხრა საკონკურსო სკვერიდან საუკეთესოდ ცნეს ოთხი რაიონის ლენინის, საქარხნო, კიროვის, 26 კომისრის სახელობის რაიონების სკვერები.

ყვავილების სახლში შექმნილი ლამაზი კუთხეები ბევრი აღმოჩნდა. აქ იშრომეს ქალაქის გამწვანების კანტორებმა, ბოტანიკურმა ბაღმა, თბილისის სანაზო სადგურმა, სატყეო მეურნეობის სამინისტრომ.

ციურიმ ჯეროვნად შეაფასა ყვავილების მოყვარულთა ნამუშევრებიც. ექიმ ლ. ჩხიკვიშვილის კომპოზიციები ფერად ბარათებს წაადგა. ისინი შესრულებულია ყვავილების გამხმარი ფოთლებისაგან. დღესასწაულის დღეებში ასეთი კომპოზიციები ამშვენებდა ყვავილების სახლს, ახარებდა გამოფენის ბევრი დამთვალიერებლის თვალსა და გულს. (საქინფორმი).

ბოსტნეულ — ჩრდილოელებს

ბოლო ინფორმაციები

საქართველოს პროფკავშირები: განვამგკიცოთ დისციპლინა და წესრიგი

ფუძემნან პირობები — ეკონომიკური და ორგანიზაციული, რომლებიც სტიმულს მისცემს ხარისხოვან და ნაყოფიერ შრომას, ინიციატივასა და გერგილიანობას, მტკიცე ბრძოლა გაშალონ სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის ყოველი დარღვევის წინააღმდეგ — მოსთხოვა რესპუბლიკის ყველა პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციას საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმმა. მან განიხილა მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებაში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მომხსენებელმა — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა, სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში შექმნილია მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინისათვის ბრძოლის ზუსტი სისტემა. კეთილი ნიჭიერი რაციონალიზატორი ჰყავს ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივს. ბოლო ერთი წლის მანძილზე მეშახტეებმა 29 წინადადება შემოიტანეს. აქედან ჯერჯერობით 13 წინადადება დაინერგა, 10 წინადადება კი დანერგვის პროცესშია.

პირველი ამოსაღები სამთო ველის ქვანახშირის ფენის დამუშავებას ეხება რაციონალიზატორ ზ. რობაქიძის წინადადება, რომლის პრაქტიკაში დანერგვით შახტის კოლექტივმა 63125 მანეთი დაზოგა. წინადადების ავტორი 1221 მანეთით დააჯილდოვეს.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა მექანიკოსის გ. აბაშიძის რაციონალიზატორული წინადადებით დაჩქარდა სანგრევი ბურღვის სამუშაოები, რითაც გაუმჯობესდა მეშახტის შრომის პირობები. მეშახტის მძიმე ფიზიკური შრომა შეამსუბუქა იმ რაციონალიზატორულმა წინადადებამ, რომლის ავტორია წყაღლიანის უბნის ზეინკალი ლ. ბოჟორიშვილი. ბევრი ტექნიკური სიახლე შემატეს საწარმოს ნიჭიერმა მეშახტე რაციონალიზატორებმა მ. გაბრიაძემ, ო. ტოფაძემ, ა. ვარდოსანიძემ და სხვებმა.

შახტში რაციონალიზატორთა რიცხვი იზრდება.

ძრძოდ, წარმატებით მოქმედებს სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცების, კადრების დენადობისა და სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების რესპუბლიკური შტაბი, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით. სულ სამი წელია, რაც შტაბი მუშაობს, მაგრამ მარტო რესპუბლიკის მრეწველობაში განხორციელებულ პრაქტიკულ ღონისძიებათა შედეგად, მაგალითად, ერთ მუშაზე სამუშაო დროის დანაკარგები შემცირდა 19 პროცენტით, მათ შორის შრომის დისციპლინის დარღვევით გამოწვეული დანაკარგები — 40 პროცენტით. საშუალო საკავშირო მაჩვენებელს მიუახლოვდა მუშათა კადრების დენადობა, უფრო სტაბილური გახდა შრომითი კოლექტივები.

ამასთან პლენუმმა აღნიშნა, რომ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების და, მაშასადამე, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა პრობლემა ერთნაირი წარმატებით რომ წყდება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 945-დან 32 საწარმომ დააკლო სახელმწიფოს შვიდი მილიონი მანეთის სამრეწველო ნაწარმი. რესპუბლიკის თითქმის ყოველი მეოთხე საწარმო ვერ ასრულებს პროდუქციის რეალიზაციის გეგმებს მიწოდების ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით. ორასზე მეტმა საწარმომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შეამცირა შრომის ნაყოფიერების დონე.

ორატორები, რომლებიც ავლენდნენ ასეთი მდგომარეობის მიზეზებს, კერძოდ, მიუთითებდნენ, რომ საგეგმო, საშემსრულებლო, სახელშეკრულებო, მომარაგებით დისციპლინა აშკარად ჩამოუვარდება შრომის დისციპლინის განმტკიცების ტემპს.

დაგვიანებისა და გაცდენისათვის მშრომელებს აკისრიათ მატერიალური და დისციპლინური პასუხისმგებლობა, და ეს კანონზომიერია, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე. მაგრამ განა ნორმალურია, როცა სამუშაო დროის მაქსიმალური გამოყენებისათვის საჭირო პირობებით არ არიან უზრუნველყოფილი მშრომელები და ამაში ბრალეულ ადამიანებს არავითარი მატერიალური და მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ?! ამასთან პლენუმზე მთელი პრინციპულობით დაისვა საკითხი, რომ იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც არ უზრუნველყოფენ წარმოების მაღალ ორგანიზაციასა და კულტურას, უნდა განხორციელდეს ისეთივე მკაცრი ღონისძიებანი, როგორც სამუშაოზე დაგვიანებისათვის, გაცდენისა და სხვა დარღვევებისათვის. იმ მუშაკის საკითხი, რომელიც პასუხს აგებს წარმოების რიტმის ჩაფუშვებისათვის, უნდა გახდეს ამხანაგური სასამართლოს, მუშათა კრების, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის მსჯელობის საგანი.

პლენუმზე დაასახელეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, რომლის საწარმოებშიც ამ თვალსაზრისით უაღრესად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა. მათზე მოდის მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგების 33 პროცენტი. ანალოგიური მდგომარეობაა ხე-ტყისა და ხის დამზადებისა და ბრეზენტის, ზეწრების, ფარდაგების, ხორცისა და რძის მრეწველობის, მშენებლობის, დამზადებისა და სხვა სამინისტროების ბევრ საწარმოში. საკმარისი არ არის ორგანიზებულობისა და დისციპლინის დონე რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. პლენუმის მონაწილეებმა კრიტიკულად გააანალიზეს პროფკავშირების მუშაობა და მოწოდებით შეეხვდნენ ცრობას, რომ საქართველოს პროფსაბჭოს საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებასთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის სპეციალური ქვეგანყოფილება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს პროფკავშირული ორგანიზაციების მოქმედების გააქტიურებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში დისციპლინის განსამტკიცებლად.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა საგრძნობლად გაუმჯობესონ მთელი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის მიზანია შრომის დისციპლინის განმტკიცება, წარმოებაში სამუშაო დროის დანაკარგების აღმოფხვრა, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, სტაბილური შრომითი კოლექტივების ჩამოყალიბება.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი. (საქინფორმი).

სადღესასწაულო დათვალიერების პირველი აკორდი

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფო საქალაქო და რაიონული თეატრების რესპუბლიკური ფესტივალის პირველი აკორდი გახდა ა. არბუზოვის პიესის მიხედვით კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის იური კაკულიას მიერ დადგმული სპექტაკლი „ძველმოდური კომედია“, რომელიც ფარმოადგინა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის დასმა.

ფესტივალის გახსნის წინ მის მონაწილეებს, ყველა მაყურებელს, რომელთა წინაშე ამ დღეებში გადაიმლება რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრების ფართო პანორამა, გულთბილად მიესალმა საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელი.

მაყურებელმა ჯეროვნად შეაფასა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ერემო სვანაძისა და ევა ხუტუნაშვილის ბრწყინვალე დუეტი, რომლებმაც არბუზოვის გმირების საინტერესო სახეები შექმნეს.

თბილისელები ნახავენ 14 სხვა დასის ნამუშევრებსაც.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1983 წლის 29 მაისს 84 წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი არვიდ იანის ძე პელშე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის არვიდ იანის ძე პელშეს დაკრძალვის ორგანიზაციისათვის შეიქმნას მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი — თავმჯდომარე, მ. ს. გორბაჩოვი, ბ. ნ. ჭონომარიოვი, ფ. ვ. კაბანოვი, ა. ე. ვოსკი, ი. ს. გუსტოვი.

2. ა. ი. პელშე დაიკრძალოს წითელ მოედანზე, კრემლის გალავანთან.

ალოობა მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მკის დრო. მოსავლის აღებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობა, ამ დიდმნიშვნელოვან საოფლო-სამეურნეო სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა საკითხები განიხილეს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის საქართველოს რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მონაწილეებმა, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა ამ საბჭოს ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი.

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, აგროსამრეწველო კომპლექსის წევრებმა, აგრეთვე სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებმა და სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ წინასწარ განხორციელდა მოსავლის ასაღები ტექნიკის მომზადების ღონისძიებანი, ბევრ მეურნეობაში კომბაინების ტექნიკური დამაკმაყოფილებლად შემოწმებულია, ასაღებელ ქვეყანაზე, ადგილების, ყვავილის, სამტრედიის, საჩხერის, აბაშის, ზესტაფონის რაიონებში მათი მზადყოფნა ჯერ კიდევ აპრილში 90-100 პროცენტს შეადგენდა. ტექნიკის მომზადებას ორგანიზებულობა აკლდა ხაშურის, გორის, კასპის, თელავის, წალკის, ხობისა და სხვა რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

გადაწყდა, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნას თვითვიანი კულტურების შემკიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღების ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბი, განახორციელონ ჩაწოლილი პურის მკის ღონისძიებანი, უზრუნველყონ ასაღები ტექნიკის ორ ცვლად მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სათადარიგო ნაწილებით სარემონტო სამსახურის რიტმულ უზრუნველყოფას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაზიდვისათვის საჭირო რაოდენობის სატვირთო ავტომობილების მომზადებას.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მოგაპყროთ პურეულის აღების გრაფიკის მკაცრ დაცვას, მეურნეობების მიერ თესლეულის დამზადებას საკუთარი საქონოებისათვის და სახელმწიფო რესურსებისათვის.

ძალზე მნიშვნელოვანია, ითქვა სხდომაზე, • უახლოეს დღეებში დავიწყოთ საადრეო კარტოფილის ამოღება და ტრანსპორტირება. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება საზოგადოებრივ ფონდში კარტოფილის გაგზავნას, მაღაზიებში პროდუქციის მიტანის გრაფიკის ზუსტ დაცვას.

უნდა გამართულად ავაწყოთ მეურნეობებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაობა, გავაძლიეროთ საკონტროლო ორგანოების საქმიანობა, კერძოდ, დავალება მიეცათ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტს, სახმომარაგებას, ციკვშირის მოაწესრიგონ ნავთობპროდუქტებით, სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგება, უკეთ მოაწყონ მინდვრად მექანიზატორების მომსახურება.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე დაისახა ამოცანა უზრუნველყოს მოსავლის დაცვა-შენახვა, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და ციკვკავკასიის რკინიგზის სამმართველოს — გამართულად იმუშაონ პროდუქციის გადაზიდვისათის. ალოობასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა რგოლის ზუსტ, შეთანხმებულ მუშაობაზეა დამოკიდებული მოსავლის ბედი. (საქინფორმი).

31 მაისი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები

საკლასო
იუწყება

ამას მოითხოვს ხალხების ინტერესები

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ჩამოყალიბებულ შეფასებებსა და წინადადებებს, თქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **დ. ლაზარმ.** ეს განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს სსრ კავშირის მისწრაფებას მშვიდობისადმი, მის სურვილს აწარმოოს მოლაპარაკება, იგრეთვე იმას, რომ გამალებული შეიარაღების ფანატიკოსები ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს. მათი მიზეზით მსოფლიოში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება გაუარესდა, კიდევ უფრო მეტად გამწვავდა დაძაბულობა გაძლიერდა იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების აშკარა მისწრაფება მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან შედარებით. მაგრამ საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ ქვეყნებსა და პლანეტის პროგრესულ ძალებს აქვთ საკმარისი საშუალებანი, რათა დაიცვან მშვიდობა, იხსნან კაცობრიობა ბირთვული კატასტროფისაგან.

„დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების გეგმები სერიოზულ საფრთხეს უქმნის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს — წერს ჩეხოსლოვაკიის **„რუდე-პრავო“**. — ამიტომ საბჭოთა მთავრობის განცხადებაში სრულიად საფუძვლიანადაა ნათქვამი, რომ ამგვარ სიტუაციაში სსრ კავშირი იძულებულია განახორციელოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საპასუხო ღონისძიებანი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მრავალი წლის მანძილზე პატიოსნად და გულწრფელად ეწეოდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებას ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ, აყენებდა მოქმედების საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის შეზღუდვის ან სრული გაუქმების კონსტრუქციულ ინიციატივებს. სსრ კავშირმა ცალმხრივად იკისრა ვალდებულება პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი, გამოაცხადა საშუალო სიშორის საშუალებათა შემდგომი განლაგების ცალმხრივი მორატორიუმი. სსრ კავშირი არ ისწრაფვის იქონიოს თუნდაც ერთი საავიაციო ბირთვული მუხტით, თუნდაც ერთი საშუალო სიშორის თვითმფრინავით მეტი, ვიდრე ნატოს ქვეყნებს აქვთ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს პასუხი მოსკოვის მშვიდობისმოყვარულ ღონისძიებებზე არაგულწრფელი და უპატიოსნო იყო. თეთრ სახლს უბრალოდ არ სურს გამოხახოს რაიმე ურთიერთმისაღები გადაწყვეტა, რომელსაც საფუძვლად დაედება თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი. ამ ვითარებაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა ხელმწიფეებს არა აქვთ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ განახორციელონ თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შესაბამისი ღონისძიებანი.

ჩინეთის გაზეთმა **„ჟენმინ უიბაომ“** გამოაქვეყნა მოსკოვიდან სინხუას კორესპონდენტის მიერ გადაცემული ცნობა, რომელშიც კერძოდ ნათქვამია: „28 მაისს გამოქვეყნეს საბჭოთა მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირი განახორციელებს ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული იარაღისა და სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ, აყენებდა მოქმედების საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის შეზღუდვის ან სრული გაუქმების კონსტრუქციული შეხედულებანი. ეს ინიციატივა ასახავს ბოლო ოცი წლის მანძილზე ბირთვული იარაღის შეზღუდვის ან სრული გაუქმების კონსტრუქციულ ინიციატივებს

ეცნობიან საქართველოს ძეგლებს

სიმპოზიუმის სექციებზე გრძელდება მოხსენებათა განხილვა. 2 ივნისს გაიმართება საბოლოო სხდომა.

28 მაისს სიმპოზიუმის მონაწილეებმა დაათვალიერეს ბოლნისის სიონი და ფიტარეთი, ხოლო 29 მაისს ისინი გაუმგზავრნენ საქართველოს რაიონებში, სადაც სამი დღის მანძილზე გაეცნობიან სამთავისის, ატენის, ყინწვისის, წრომის, საფარის, ხერთვისის, ვარძიის, ტიმოთესუბნისა და უფლისციხის ძეგლებს.

ჩვენი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ვენეციის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოვანი კურატოლამ. — ამას განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, ახლანდელი შეხვედრის ჩანებული ორგანიზაცია. თეორიული ცოდნის შეხამება ძეგლებზე პრაქტიკულ მუშაობასთან — ეს არის ყველაზე საუკეთესო რამ, რაზეც შეიძლება იოცნებოს ყოველმა მეცნიერმა.

ჩვენი დელეგაციის ბევრი საეციალისტი სწავლობს საქართველოს ძეგლებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს ფარგლებს გარეთაა. მათი დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, დანგრეულია.

ხელმძღვანელის დიდი პასუხისმგებლობა

ზემო ხანდაკის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა კასპის რაიონში. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მან გაიმარჯვა შორაპნ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით რაიონის საზოგადოებრივ შეურნეობებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და პარტიის კასპის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მოიპოვა.

ამას წინათ მეტად საინტერესოდ ბჭობდნენ კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენცია კრებაზე, რომელზეც განხილეს სსრ კავშირის კანონის პროექტი შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ. საუბარი მაღალ დონეზე, პრინციპულად მიმდინარეობდა, რასაც ტონს აძლევდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის უ. ქვრივიშვილის გამოსვლა. მან კრების მონაწილეებს გააცნო ახალი კანონპროექტი.

— შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება და უფლებამოსილების გაძლიერება ხელს შეუწყობს ორგანიზაციის, საწარმოდაწესებულების საქმიანობისადმი — ხელმძღვანელობის უფრო სწორად წარმართვას, ჩვენ წინაშე დასახული ამოცანების დროულ განხორციელებას, — თქვა თავმჯდომარემ, — დასამალი არ არის, რომ ჩვენთან შრომის დისციპლინა ჯერ კიდევ სუსტია. კანონპროექტი მოითხოვს, რომ აქტიურად განვიხილოთ შრომის დისციპლინის დაცვის მდგომარეობა ადგილებზე, განვახორციელ ო თ კონკრეტული ღონისძიებანი მისი განმტკიცებისათვის, რასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შრომითი კოლექტივი, ერთი მიზნით, ერთი სურვილით შეკავშირებული, უდიდესი ძალაა წარმოების დემოკრატიული პრინციპებით მართვისათვის.

სიტყვა წარმოთქვა მეხუთე საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელმა, ლენინის ორდენოსანმა თ. დავლაშელიძემ.

— ყველა ერთნაირი მონდომებით რომ ვმუშაობდეთ, საქმეც უკეთ წარიმართება, მაგრამ გვყავს უდისციპლინოები, საკოლმეურნეო სასარგებლო შრომის თავისამრიგებლები, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგსაც არღვევენ, კოლექტივი ყოველივე ამას ხედავს, მაგრამ მოუწოდებს კია მათ წესრიგისათვის, აზდენს მათზე ზემოქმედებას?

ხმები დარბაზიდან:

— შენ თვითონ რას ღონობ მათ წინააღმდეგ?

— საერთო ბიოკოტი უნდა გამოვუცხადოთ მათ, საკარმიდამო ნაკვეთიც შევუმცროთ!

— ჩვენი ბრიგადა დღემდე ზემოქმედებას ვერ ახდენს ასეთ ადამიანებზე, — თქვა ბრიგადის ხელმძღვანელმა დავლაშელიძემ,— ვერც კოლმეურნეობის გამგეობამ იოხნა რაიმე, სწორედ აქ არის საჭირო შრომითი კოლექტივების ერთიანი აზრი, უკომპრომისო, შეურიგებელი ბრძოლა, თვით სოფლიდან მოკვეთაც კი. აი, კანონის მეცხრე მუხლში მე ჩავწერდი, რომ შრომითი კოლექტივი მთელ პასუხისმგებლობას კისრულობს თითოეული ადამიანის ქცევისათვის როგორც წარმოებაში, ასევე ყოფა-ცხოვრებაში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უსაქმურები, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევები ჩვენთან დღემდე იმიტომაც ბოგინობენ, რომ ერთიანი საზოგადოებრივი აზრი არ არის მიმართული მათ წინააღმდეგ. ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის, — ამ დევიზით დღემდე არ ვმუშაობთ, არ ვქმნით საერთო ატმოსფეროს, რომ ისინი კი გვეიდში ამოვიყენოთ და დავასაქმოთ მეურნეობაში, ანდა არ გავაჭაჭანოთ ჩვენს რიგებში.

თ. დავლაშელიძის ეს აზრი თავის გამოსვლაში მოიშველია მეოთხე საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. ქამხაძემ. მან თქვა: კოლექტივი შეძლებს დიდი ზემოქმედება მოახდინოს უსაქმურებზე, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებზე, მაგრამ დღემდე ეს არ გაკეთებულა. ამიტომაც სოფელში მოხდა უმძიმესი დანაშაული — მკვლელობა. შრომითს კოლექტივს დამნაშავეებზე დროულად რომ მოეხდინა ზეგავლენა, მაშინ მკვლელობაც არ მოხდებოდა, ახალი კანონპროექტი მოითხოვს, რომ გაძლიერდეს კოლექტივების როლი არა მარტო სამეურნეო, კულტურულ და სხვა საქმიანობაში, არამედ მუქთახორებისა და საზოგადოებრივი დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

სიტყვას იღებს პარტორგანიზაციის მდივანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე კოპერირების დარგში ა. პაპიაშვილი:

— ჩვენ წინაშე დიდი ამოცანაა დასახული. ეს სასურსათო პროგრამის უთუო განხორციელებაა. ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაში წვლილის შეტანა თითოეული ჩვენგანის გადაუდებელი საზრუნავია. მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ერთსულოვნად, მონდომებით არ იბრძვის დასახული მიზნების მიღწევისათვის. აბა, რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ სოფელში მცხოვრები ქალაქის მაღაზიებში დადის მწვანილის, კიტრის, პამიდორის, სხვა ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების შესაძენად, მაშინ როცა საკარმიდამო ნაკვეთებზე ან უფრო „მომგებიანი“ კულტურები ხქვთ გაშენებული, ანდა, სათანადოდ არ ამუშავებენ და ცდილობენ იოლი გზით გავიდნენ ფონს. ამიტომ ჩემი წინადადება იქნება კანონპროექტში ჩამოყალიბდეს მუხლი, სადაც გამოკვეთილად ჩაიწერება — „შრომითი კოლექტივის როლი გამოჩნდეს საკარმიდამო ნაკვეთებზე პროდუქტების წარმოების შეწონასწორებულ დაგეგმვაში“.

პარტორგანიზაციის მდივანმა ა. პაპიაშვილმა სხვა მეტად პრინციპული საკითხებიც დააყენა. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მათგანს:

— ჩვენი სოფლის მკვიდრთა გარკვეული ნაწილი სხვაგან, რაიონის გარეთაც კი მუშაობს, — თქვა მან, — სოფლის მთელი სიკეთით კი სარგებლობს და ეს ხმ დროს, როცა კოლმეურნეობას აკლია მუშახელი, ბევრი მიწერ-მოწერა გვაქვს ორგანიზაციებთან მათი უკან დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ამაოდ. კარგი იქნება, თუ კანონპროექტის შესაბამის მუხლს დაემატება ასეთი აბზაცი: — „კოლმეურნეობის (ან მეურნეობის) შრომითი კოლექტივის რეკომენდაცია-დახასიათების გარეშე აეკრძალოს წარმოება-დაწესებულებებს მუშა-მოსამსახურეთა მიღება თუნდაც კოლმეურნეობის გამგეობის ნებართვით“.

კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ჯ. გოგიაშვილი ეთანხმება პარტორგანიზაციის მდივნის ამ წინადადებებს, მაგრამ მისი აზრით, საჭიროა უფრო მკაცრად გამოიკვეთოს ეს პროექტში: იმას, ვინც სასურსათო პროგრამის განხორციელებაში არ მონაწილეობს, ჯერ გაფრთხილება მიეცეს, ხოლო შემდეგ ჩამოერთვას სოფლად ცხოვრების უფლება.

ამრიგად, გაიზარდოს შრომითი კოლექტივის როლი სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში. იგი ეროვნულ საკარმიდამო ნაკვეთის მაქსიმალურ უკუგებაში. განისაზღვროს, თუ რა პროდუქცია იქნეს წარმოებული. სოფლის მეორე მშობლიური ენა, დედის ენა, რომლის სიწმინდისათვის ბრძოლაში მას არაერთი და ორი ღამე თეთრად უთენებია. გ. შარვაშიძე მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე იყო როგორც საკუთრივ აფხაზეთის, ისე მთელი საქართველოს ინტერესების დამცველი.

გ. შარვაშიძეს დიდი სულიერი ნათესაობა აკავშირებდა საქართველოს სახელოვან შვილებთან, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან. ო. ჭურღულიას აზრით, ეს დამკიდებულება საათავეს ამ მოძმე ხალხების ისტორიულად ნაწრთობი მეგობრული ურთიერთობიდან იღებდა და შედეგობებული იყო მოწინავე ადამიანების საერთო მსოფლმხედველობითა და საზოგადოებრივი იდეალებით.

განსაკუთრებით განმტკიცდა და გაძლიერდა ქართველი და აფხაზი ხალხების თანამეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენს დროში. საბჭოთა სინამდვილემ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ამ ხალხების ერთიანობა და ძმობა. ქართულ-აფხაზურმა კულტურულ-ლიტერატურულმა ურთიერთობამ მანამდე არნახულ აღმავლობასა და წინსვლას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ფართო გასაქანი მიეცა საერთოდ საბჭოთა ხალხების და კერძოდ ქართველი და აფხაზი ხალხების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და მისგან გამომდინარე სულიერი ცხოვრების აყვავებასა და კულტურათა დაახლოებას. სწორედ ამ საკითხების შესწავლას ეძღვნებ ო. ჭურღულიას ნაშრომის მეორე თავი.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოს კაცმა მონოგრაფიის ის ადგილები, სადაც მოთხრობილია აფხაზი ხალხის ცნობილი განმანათლებლის დიმიტრი გულიას და დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მეგობრობა-თანამშრომლობის ამბავი. დიდ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსს ყოველთვის კარგად ესმოდა აფხაზი და ქართველი ხალხების ტრადიციული მეგობრობის განმტკიცების მნიშვნელობა. ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინება იყო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიმიტრი გულიას მოწვევა სამუშაოდ. როგორც ცნობილია, 1924-1925 სასწავლო წელს დ. გულია თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა აფხაზური ენის კურსს. აქ იგი უფრო მჯიდროდ დაუახლოვდა ივანე ჯავახიშვილს და მასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. ივანე ჯავახიშვილმა გამორჩეული მზრუნველობა და დახმარება გაუწია დ. გულიას სამეცნიერო და შემოქმედებითს სარბიელზე. სწორედ ამ წლებში დ. გულიამ დაასრულა თავისი „აფხაზეთის ისტორია“, რომელიც გამოიცა თბილისში 1925 წელს. ამ ნაშრომში დ. გულია მიუთითებს, რომ სარგებლობს ივანე ჯავახიშვილის ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევით, როგორიც არის „ქართველი ერის ისტორია“. ივანე ჯავახიშვილისა და დ. გულიას მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მთელი მათი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა.

დ. გულია მაღალ შეფასებას აძლევდა აგრეთვე აკადემიკოს ს. ჯანაშიას დამსახურებას ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის შესწავლის, მათი ძმობა-მეგობრობის განმტკიცების საქმეში. თბილისის უნივერსიტეტში მუშაობის დროს დ. გულია უფრო ახლოს გაეცნო ქართულ ლიტერატურას, წყაროებს საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის შესახებ, ღრმად დაეუფლა ქართულ ენას, ყოველმხრივ ამდიდრებდა თავის ცოდნას, დაუახლოვდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, მოწინავე ინტელიგენციას, მწერლებს.

საბჭოთა პერიოდში უფრო მყარი, საფუძვლიანი, შინაარსიანი გახდა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობა. ო. ჭურღულიას მონოგრაფიის II თავის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ საკითხის გაშუქებისადმია მიძღვნილი. ქართველმა და აფხაზმა საბჭოთა მწერლებმა კ. გამსახურდიამ, ლეო ქიაჩელმა, გ. ტაბიძემ, გ. ლეონიძემ, ი. გრიშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ირ. აბაშიძემ, გრ. აბაშიძემ, რ. მარგიანმა, ნ. დუმბაძემ, ჯ. ჩარკვიანმა, დ. გულიამ, ს. ჭანბამ, ი. პაპასკირმა, მ. ლაკობამ, ბ. შინკუბამ, ი. თარბამ, მ. ლასურიამ და სხვებმა შესანიშნავი ნაწერამოებები უძღვნეს საქართველოს და აფხაზეთს, ქართველებსა და აფხაზებს, მათ სულიერ სილამაზეს, ქართველთა და აფხაზთა უმწიკლო მეგობრობას.

ო. ჭურღულია თავის წიგნში საუბრობს სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართველი და აფხაზი საბჭოთა მწერლების კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის, თანამშრომლობის, თანადგომის, ეროვნული სულიერი საგანძურის ურთიერთგამდიდრების ნათელი დადასტურებაა.

საბჭოთა წყობილების პირობებში ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა კიდევ უფრო ძლიერად შეიკრნენ ერთმანეთისადმი ძმური დახმარების მტკიცე გრძნობა, ერთიანობის, მჯიდრო კავშირის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის აუცილებლობა. ასე გრძელდება ჭირსა და ლხინში თანადგომის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ასე იწერება ორი ხალხის ძმობისა და მეგობრობის მატიანის ახალი ფურცლები.

თენგიზ პაპუაშვილი,
